

შეთანხმების
სამომავლო გზა
საქართველოსთვის
შესრულების შეფასება

| თბილისი
2021



შეთანხმების
„სამომავლო გზა
საქართველოსთვის“
შესრულების შეფასება

სექტემბერი, 2021 - თბილისი, საქართველო

სარჩევნი

- 05 შესავალი
- 09 პოლიტიზებულ მართლმსაჯულებად აღქმულ საკითხებზე რეაგირება
- 17 ამბიციური საარჩევნო რეფორმა
- 27 კანონის უზენაესობა/სასამართლო რეფორმა
- 39 პარლამენტში ძალაუფლების განაწილება



წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის ინიციატივით და აერთიანებს საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის (*GDI*), საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებისა (*ISFED*) და საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს (*TIG*) შეფასებებს. ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

საქართველო

2021 წლის 19 აპრილს, ევროპული საბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის მიერ შეთავაზებულ დოკუმენტს ხელი მოაწერეს ხელისუფლებისა და ოპოზიციური პარტიების ნაწილის წარმომადგენლებმა, რომლებიც დოკუმენტის ხელმოწერის შემდგომ შევიდნენ პარლამენტში საკუთარი მანდატის განსახორციელებლად. ოპოზიციის მხრიდან თავდაპირველ ხელმოწერებს შორის იყვნენ შემდეგი პარტიები: „ლელო – მამუკა ხაზარაძე“, „რესპუბლიკელები“, ბლოკი „გიორგი ვაშაძე – სტრატეგია აღმაშენებელი“, „გირჩი“, „ალეკო ელისაშვილი – მოქალაქეები“.¹ ასევე, დოკუმენტს ინდივიდუალურად მოაწერა ხელი სალომე სამადაშვილმა, რომელმაც ხელმოწერის შემდეგ პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დატოვების შესახებ გააკეთა განცხადება. მოგვიანებით დოკუმენტს ხელი მოაწერეს: „ლელოს“ წევრმა – დავით უსუფაშვილმა, „სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრებმა თეონა აქუბარდიამ და პაატა მანჯგალაძემ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილმა თავმჯდომარემ – გრიგოლ ვაშაძემ, „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია – ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“ ყოფილმა თავმჯდომარემ – დავით ბაქრაძემ, ამავე პარტიის წევრმა – არმან ახვლედიანმა და მაჟორიტარობის კანდიდატმა, შალვა შავგულიძემ. გარდა ამისა, დოკუმენტს მხარს უჭერდა: ყოფილი პრემიერმინისტრის გიორგი გახარიას გუნდი,² ასევე, პარლამენტში პატრიოტთა ალიანსის სიით შესული დეპუტატები, აწ უკვე ევროპელი სოციალისტები.³ პარლამენტში შესვლასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ყველაზე ბოლოს მიიღო, და შემდგომ შეთანხმების დოკუმენტზე ხელი 2021 წლის 2 სექტემბერს მოაწერა ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ.⁴

1. იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - <https://bit.ly/3jnrnN2>
2. გიორგი გახარიამ თანამდებობა და „ქართული ოცნება“ 2021 წლის 18 თებერვალს, ნიკა მელიას დაკავებიდან რამდენიმე საათში დატოვა. მისივე თქმით, „ერთი კონკრეტული ადამიანის მიმართ თუნდაც კანონიერი მართლმსაჯულებით განსაზღვრული ღონისძიების აღსრულება, თუ ეს რისკს უქმნის ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობას, სიცოცხლეს ან ქვეყანაში ქმნის პოლიტიკური ესკალაციის შესაძლებლობას, არის მიუღებელი.“ - <https://bit.ly/3yxEye> მოგვიანებით, მას „ქართული ოცნების“ სხვა წევრებიც შეუერთდნენ, რომლებთან ერთადაც 2021 წლის 29 მაისს ახალი პოლიტიკური პარტია – „საქართველოსთვის“ ჩამოაყალიბა - <https://bit.ly/3mQBUJg> სწორედ აღნიშნული პირები მოიაზრებიან „გახარიას გუნდის“ წევრებად.
3. იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - <https://bit.ly/2UUX4LH>
4. იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - <https://bit.ly/2WSjUV0>

კონსტიტუციურ მართლმსაჯულებად აღქმულ საკითხებზე რეაგირება

ავტორი:
საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)

- საქართველოს პოლიტიკური სტაბილურობის ინტერესებიდან გამომდინარე და ამ შეთანხმების შესრულების მიზნით, ხელისმომწერები ვალდებულებას იღებენ, ამ შეთანხმების ხელმოწერიდან ერთი კვირის ვადაში, რეაგირება მოახდინონ პოლიტიკულ მართლმსაჯულებად აღქმულ ორ საკითხზე, ამნისტიის საშუალებით და/ან ისეთი ზომების მიღებით, რომელიც ანალოგიურ შედეგს გამოიღებს. კერძოდ, ამ შეთანხმების ხელმოწერიდან ერთი კვირის ვადაში, პარლამენტში წარმოდგენილმა პარტიამ უნდა მოახდინოს ინიცირება კანონისა ამნისტიის შესახებ, რომელიც 2019 წლის 19-21 ივნისის პროტესტებთან დაკავშირებულ ყველა დარღვევასა და დაკავებას შეეხება.
- გარდა ამისა, პარლამენტმა რეაგირება უნდა მოახდინოს პოლიტიკულ მართლმსაჯულებად აღქმულ საკითხებზე კანონმდებლობის საშუალებით და (საჭიროების შემთხვევაში) შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები რეგლამენტში, რომ პარლამენტის წევრის სადემპუტატო იმუნიტეტის მოსახსნელად საჭირო იყოს უბრალო უმრავლესობაზე მეტი ხმა.

ვადები:

1. ხელმოწერიდან ერთი კვირის განმავლობაში უნდა განხორციელდეს ამ დებულების შესასრულებლად საჭირო ქმედებები.
2. ყველა ხელმომწერი შედის პარლამენტში, რომ კენჭი უყაროს საკანონმდებლო და რეგლამენტის ცვლილებებს.

| შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
|----------|---------------------|-------------|
| | | |

გაკეთდა: ვინაიდან ქართულ ოცნებასა და ოპოზიციას შორის „ამნისტიის შესახებ“ კანონთან დაკავშირებით განსხვავებული ხედვები არსებობდა⁵, საკანონმდებლო ორგანოში ორი კანონპროექტი დაინიცირდა⁶. მმართველი გუნდის ინიცირებული ვერსიის მიხედვით, ამნისტია უნდა გავრცელდებულიყო 20 ივნისთან დაკავშირებულ ყველა საქმეზე, გარდა სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 144¹-144³ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისა. ხსენებული მუხლების მიხედვით, დასჯადია:

- ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (მუხლი 117);
- წამება (მუხლი 144¹);
- წამების მუქარა (მუხლი 144²);
- დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა (მუხლი 144³).

5. იხილეთ ოპოზიციის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტის ერთ-ერთი ინიციატორის, შალვა შავგულიძის განცხადება - <https://bit.ly/3jqbigM>

6. იხილეთ „ქართული ოცნების“ მიერ 2021 წლის 27 აპრილს წარმოდგენილი კანონპროექტი - <https://bit.ly/3DzxcXl>, ასევე, საქართველოს პარლამენტის წევრთა: არმაზ ახვლედიანი, თეონა აქუბარდია, დავით ბაქრაძე, გიორგი ვაშაძე, პაატა მანჯგალაძე, ანა ნაცვლიშვილი, სალომე სამადაშვილი, ხათუნა სამნიძე, დავით უსუფაშვილი, შალვა შავგულიძე, მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე, ინიციატივით 2021 წლის 28 აპრილს დარეგისტრირებული კანონპროექტი - <https://bit.ly/3gEOhVn>

ხოლო ოპოზიციის კანონპროექტში დაკონკრეტებული იყო ის მუხლები, რომლებზეც უნდა გავრცელებულიყო ამნისტია, დანარჩენი ყველა საქმე კი პროექტს მიღმა რჩებოდა, მათ შორის, 20 ივნისის საქმეზე სამომავლოდ შესაძლო დაწყებული გამოძიებებიც.

კანონპროექტებს შორის კიდევ ერთი განსხვავება ეხებოდა დაზარალებულის თანხმობას. ოპოზიციის პროექტის მიხედვით, იმისთვის, რომ კონკრეტულ სახელმწიფო მოხელეს არასათანადო ქმედებისთვის ამნისტია შეეხებოდა, ამაზე ამ ქმედებით დაზარალებულის თანხმობა იყო საჭირო.

კანონპროექტების ინიცირების პარალელურად, 2021 წლის 27 აპრილს საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა შეწყალების აქტს⁷, რომლის საფუძველზეც გიორგი რურუამ საპატიმრო დაწესებულება დატოვა.⁸ გიორგი რურუა ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედია საშუალების „მთავარი არხის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და მეწილეა, რომელიც 2019 წლის 20 ივნისის მოვლენების შემდეგ რუსთაველზე მიმდინარე საპროტესტო აქციებს აქტიურად უჭერდა მხარს. იგი 18 ნოემბერს, საკუთარ სახლთან ახლოს დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტებით, რურუა პოლიციამ სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის დააკავა, რაც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს. 2020 წლის 30 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ გიორგი რურუას 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.⁹ გიორგი რურუას დაკავებას პოლიტიკურ ანგარიშსწორებას უკავშირებდნენ როგორც მისი ინტერესების დამცველები, ასევე ოპოზიციური პარტიებიც.¹⁰ ამასთან, ოპოზიცია აცხადებდა, რომ გიგი უგულავასა და ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად, გიორგი რურუას გათავისუფლება მმართველ გუნდსა და ოპოზიციას შორის 8 მარტს დიპლომატების შუამავლობით მიღწეული შეთანხმების ერთ-ერთი წინაპირობა იყო, თუმცა ქართული ოცნება მსგავსი პირობის არსებობას უარყოფდა.¹¹

ნიკა მელია, პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, 23 თებერვალს დილის 7:30 საათზე საქართველოს მთავრობამ საპოლიციო ძალის გამოყენებით ნაციონალური მოძრაობის ოფისში დააკავა. სპეციალური ღონისძიების მიზანს, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, „სასამართლოს მიერ 17 თებერვალს მიღებული პოლიტიზირებული გადაწყვეტილების აღსრულება და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის, ნიკა მელიას დაკავება წარმოადგენდა.“¹² სპეცოპერაციას წინ უსწრებდა 2021 წლის 17 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა საქართველოს გენერალური პროკურორის შუამდგომლობა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეს, ნიკა მელიას, აღკვეთის ღონისძიება – გირაო, პატიმრობით შეეცვალა. რასაც მწვავე გა-

7. იხილეთ საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური განცხადება - <https://bit.ly/3qG5XjU>

8. იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - <https://bit.ly/3qBBQKk>

9. იხილეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადება - <https://bit.ly/3mNbadv>

10. იხილეთ მედიაში გავრცელებული განცხადებები - <https://bit.ly/3DyAtpG>

11. იქვე.

12. იხილეთ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გავრცელებული საგანგებო განცხადება - <https://bit.ly/38ZcjwN>

მოხმაურება მოჰყვა როგორც ადგილობრივი,¹³ ასევე საერთაშორისო¹⁴ ორგანიზაციების მხრიდან.

შეთანხმების ამ ნაწილის სისრულეში მოყვანა ერთ-ერთი ხანგრძლივი პროცესის შედეგი იყო. ნიკა მელიამ საპატიმრო დაწესებულება თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, შეთანხმების მიღწევიდან 3 კვირაში, 2021 წლის 10 მაისს დატოვა.¹⁵ სასამართლოს გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა 8 მაისს ევროკავშირის მიერ ევროპული ფონდ დემოკრატიისთვის (European Endowment for Democracy) და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) დახმარებით გირაოს თანხის – 40 000 ლარის გადახდა.¹⁶

2021 წლის 9 ივნისს, მმართველმა პარტიამ „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტი დააინიცირა.¹⁷ განმარტებითი ბარათის მიხედვით, „ევროპული საბჭოს პრეზიდენტის ჩართულობით საქართველოს პოლიტიკური პარტიების მიერ 2021 წლის 19 აპრილს ხელმოწერილი შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, რომლის მიზანია შემცირდეს პოლარიზაცია ქართულ პოლიტიკაში და თავიდან იქნეს არიდებული პარლამენტის წევრის სადებუტატო იმუნიტეტის მოხსნის გადაჭარბებული პოლიტიზირება,“ აუცილებელი იყო პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანა.¹⁸

2021 წლის 25 ივნისს მიღებული ცვლილებების შესაბამისად, სადებუტატო იმუნიტეტის მოსახსნელად საჭირო ხმების რაოდენობა გაიზარდა. კერძოდ, პარლამენტის წევრის დაკავების ან დაპატიმრების, მისი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან პირადი ჩხრეკის შესახებ პლენარულ სხდომაზე საკითხის განხილვის შემდეგ გადაწყვეტილება მიიღება დადგენილებით, პარლამენტის სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობით.¹⁹ ხოლო, „პარლამენტის წევრის დაკავებაზე ან დაპატიმრებაზე პარლამენტის მიერ თანხმობის მიცემის შემთხვევაში დაკავებულ ან დაპატიმრებულ პარლამენტის წევრს დაკავების ან დაპატიმრების პერიოდით შეუჩერდება უფლებამოსილება დადგენილებით, პარლამენტის სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობით.“²⁰

არ გაკეთდა: როგორც უკვე აღინიშნა, შეთანხმების ხელმოწერ მხარეებს შორის აზრთა სხვადასხვაობა იყო ამნისტიის კანონპროექტის ზოგიერთი პუნქტის ირგვლივ.²¹

პირველი მნიშვნელოვანი განსხვავება, რომელიც ამ ორ კანონპროექტს შორის არსებობს, იმ პირთა თანხმობას უკავშირდება, რომელზეც შესაძლებელია ამნისტიის გავრცელება. ქართული ოცნების მიერ წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით, „სისხლისა-

13. იხილეთ ნიკა მელიას მიმართ წარმომებული სისხლის სამართლის დევნასთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გავრცელებული განცხადებები - <https://bit.ly/3Dvl35w> <https://bit.ly/3zwJGwc>

14. იხილეთ საერთაშორისო საზოგადოების გამოხმაურება - <https://bit.ly/2V0cRZy>

15. იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - <https://bit.ly/3kQVEef>

16. იხილეთ საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის განცხადება - <https://bit.ly/2WDAJTu>

17. იხილეთ კანონპროექტი - <https://bit.ly/3jt8QXc>

18. იხილეთ კანონპროექტის განმარტებითი ბარათი - <https://bit.ly/3zEMUh6>

19. იხილეთ რეგლამენტში შესული ცვლილებები - <https://bit.ly/38kmhIT>

20. იქვე.

21. იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - <https://bit.ly/3kyxXak> <https://bit.ly/3zsQzPc>

მართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან, ასევე პირობითი მსჯავრისგან გათავისუფლდეს ყველა პირი, რომელმაც 2019 წლის 19-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით 2019 წლის 19-21 ივნისის ჩაიდინა დანაშაული და ამ კანონით დადგენილი წესით უარს არ აცხადებს მის მიმართ ამნისტიის გავრცელებაზე.²² აღნიშნული დანაშაულის ეწინააღმდეგება თავად ამნისტიის ბუნებას და მოცემულ შემთხვევაში აჩენდა ეჭვის საფუძველს, რომ ამგვარი დანაშაულის კონკრეტულად ერთი პირის, ნიკა მელიას ინტერესების საზიანოდ იყო მიმართული.²³ ბრალდებულის მხრიდან წინასწარი თანხმობის გაცემა, როგორც ამნისტიის გავრცელების წინაპირობა, არ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით.²⁴ ამასთანავე, მმართველი პარტიის მიერ შემოთავაზებული კანონპროექტი არ შეიცავს იმ მუხლების ჩამონათვალსაც, რომლებზეც გავრცელდება ამნისტია. შესაბამისად, 2019 წლის 19-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით ამ დრომდე ან სამომავლოდ წარმოებულ ნებისმიერ სისხლის სამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით შესაძლებელია ხსენებული „ამნისტიის შესახებ“ კანონის გამოყენება, გარდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 144¹-144³ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის ფაქტზე დაწყებული დევნისა.²⁵

აღნიშნულის საპირისპიროდ, ოპოზიციური პარტიების მიერ ინიცირებული კანონპროექტი არ მოითხოვდა პირთა წინასწარ თანხმობას. კანონპროექტის მიხედვით²⁶, სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან უნდა გათავისუფლებულიყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის პირველი ან/და მე-2 ნაწილით ბრალდებული/მსჯავრდებული პირი (ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, ხელმძღვანელობა ან მასში მონაწილეობა), ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის ბ) ქვეპუნქტით ბრალდებული/მსჯავრდებული პირი (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება), გარდა იმ პირისა რომელმაც აღნიშნული ქმედება ჩაიდინა სახელმწიფო პოლიტიკურ თანამდებობაზე ყოფნის დროს²⁷. ამავე კანონპროექტში დამატებით ყურადღება იყო გამახვილებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა), 173-ე²⁸ და 174¹ (შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევა) მუხ-

22. იხილეთ „ქართული ოცნების“ მიერ ინიცირებული კანონპროექტის პირველი მუხლის პირველი პუნქტი - <https://bit.ly/2WWDKxwy>

23. იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - <https://bit.ly/3t0NX8N>

24. იხილეთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლი - <https://bit.ly/38qm5l9>

25. იხილეთ „ქართული ოცნების“ მიერ ინიცირებული კანონპროექტის მეორე მუხლი - <https://bit.ly/2WWDKxwy>

26. იხილეთ ოპოზიციური პარტიების მიერ ინიცირებული კანონპროექტი - <https://bit.ly/3kD0CuJ>

27. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონპროექტი ითვალისწინებდა გამონაკლისს ამ დანაშაულისგან, კერძოდ, კანონპროექტის მე-3 მუხლის მიხედვით, ამ კანონის მოქმედება ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირზე ვრცელდება შესაბამისი დაზარალებულის (ფიზიკური პირის) ნოტარიალურად დამოწმებული წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

28. სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის, აღსრულების პოლიციელის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ან ამავე სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მოსამსახურის ან მასთან გათანაბრებული პირის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება.

ლებით გათვალისწინებული ქმედებისათვის სახდელდადებული პირების სახდელისაგან გათავისუფლებაზე, თუ ასეთი სახდელი ამ კანონის ამოქმედებამდე აღსრულებული არ ყოფილა. კანონპროექტის ინიციატორები მიზნად ისახავდნენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სასჯელისაგან, გათავისუფლებულიყვნენ 2019 წლის 19-21 ივნისს განვითარებული საპროტესტო აქციების მონაწილეები, ასევე - აქციის მიმდინარეობისა და მისი აღკვეთის დროს საპოლიციო ღონისძიებების განმახორციელებელი საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები, რომლებიც ბრალდებული/მსჯავრდებული იყვნენ, შესაბამისად ამ კანონის პირველი მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, და მათ მოეხსნებოდათ ნასამართლობა.²⁹ ისევე როგორც, ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლებოდნენ ის პირები, რომლებსაც შემოხსენებულ მოვლენებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული სახდელი დაეკისრათ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე, 173-ე და 1741 მუხლების საფუძველზე.³⁰

კანონპროექტის ინიციატორთა განმარტებით, ცალკეულ დანაშაულებთან მიმართებით დაზარალებულის თანხმობა მიზნად ისახავდა 2019 წლის 19-21 ივნისის მოვლენების დროს დაზარალებული პირის სრულფასოვან მონაწილეობას 2021 წლის 19 აპრილის შემოხსენებული შეთანხმების რეალიზების პროცესში, რომელიც მიმართულია ქვეყანაში ვითარების ნორმალიზების, დაძაბულობის დეესკალაციისა და პოლიტიკური კრიზისის დაძლევისაკენ³¹.

2019 წლის 19-21 ივნისის პროტესტებთან დაკავშირებულ ყველა დარღვევასა და დაკავებაზე ამნისტიის გავრცელების პერსპექტივას გამოეხმაურა GDI. ორგანიზაციის შეფასებით, „სახელმწიფოს წარმომადგენელთა ამნისტიით პასუხისმგებლობისგან ან/და სასჯელისგან ახლა ან მომავალში გათავისუფლება ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს არსს და მნიშვნელოვნად აზიანებს ადამიანის უფუნდამენტური უფლებების დაცვის იდეას.“³² განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ „იმ პირობებში, როდესაც არსებობს ხელისუფლების მიერ პოლიტიკურ ძალებს შორის დადებული პოლიტიკური შეთანხმების ადამიანის უფლებების სასარგებლოდ ინტერპრეტაციის რესურსი და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მხოლოდ დემონსტრაციის მონაწილეებზე გავრცელების შესაძლებლობა, ავტორები კარგად უნდა იაზრებდნენ, ამნისტიის სახელმწიფოს სამართალდამრღვევ წარმომადგენლებზე გავრცელებიდან მომდინარე ადამიანის უფლებების დარღვევის მძიმე შედეგებზე პასუხისმგებლობას.“³³

„ქართულმა ოცნებამ“ მე-2 მოსმენით ერთპიროვნულად დაუჭირა მხარი თავისსავე ინიცირებულ კანონპროექტს,³⁴ რის შემდეგაც მმართველმა პარტიამ კანონპროექტის მე-3 მოსმენით განხილვის ვადა 2021 წლის 24 ივნისიდან 30 დღით გადადო,³⁵ თუმცა ამ მიმართულებით ამ დრომდე არაფერი შეცვლილა, შესაბამისად, შეთანხმებით გათვალისწინებული „ამნისტიის შესახებ“ კანონი ჯერ კიდევ არ არის მიღებული.

29. იხილეთ კანონპროექტის განმარტებითი ბარათი - <https://bit.ly/38qkifB>

30. იქვე.

31. იქვე.

32. იხილეთ ორგანიზაციის განცხადება - <https://bit.ly/3gObtkF>

33. იქვე.

34. იხილეთ კენჭისყრის ანგარიში - <https://bit.ly/2WCi4ag>

35. იხილეთ საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება - <https://bit.ly/2UXK3kx>

„ქართულმა ოცნებამ“ 19 აპრილის შეთანხმებიდან 100 დღის თავზე, 2021 წლის 28 ივლისს, შეთანხმება ანულირებულად გამოაცხადა.³⁶ მმართველი პარტიის ამ გადაწყვეტილებას კრიტიკული შეფასება მოჰყვა როგორც ადგილობრივ³⁷, ასევე საერთაშორისო დონეზე.³⁸ ამ ფონზე გაუკრვეველია თუ რა გაგრძელებას ჰპოვებს 19 აპრილის შეთანხმებით გათვალისწინებული „ამნისტიის შესახებ“ კანონი.

შესაბამისად, შეთანხმების აღნიშნული პუნქტი ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს. საპატიმრო დაწესებულება დატოვეს გიორგი რურუამ და ნიკა მელიამ, ცვლილებები შევიდა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტშიც. თუმცა დღემდე გაუკრვეველია როგორ განვითარდება მოვლენები „ამნისტიის შესახებ“ კანონთან დაკავშირებით, რომელიც 2019 წლის 19-21 ივნისის პროტესტებთან დაკავშირებულ ყველა დარღვევასა და დაკავებას უნდა შეეხოს.

36. იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - <https://bit.ly/3zz2nQ8>

37. იხილეთ არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება - <https://bit.ly/3jqNsSb>

38. იხილეთ ამერიკის შეერთებული შტატების განცხადება - <https://bit.ly/2UYe8jZ> ასევე, ევროპული საბჭოს პრეზიდენტის განცხადება - <https://bit.ly/3zuwoQQ>

ამბიციური საარჩევნო რეფორმა

ავტორი:
სამახტლიანი აჩრევნებისა და დემოკრატიის
საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)

- ყველა მომავალი საპარლამენტო არჩევნები იქნება სრულად პროპორციული. შემდეგი ორი საპარლამენტო არჩევნები იქნება ბუნებრივიდან 2%-მდე;

| შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
|----------|---------------------|-------------|
| | | |

გაკეთდა: საქართველოს პარლამენტში წარდგენილი კონსტიტუციური კანონის პროექტის მიხედვით, პარლამენტის მომდევნო ორი არჩევნები სრულად პროპორციული წესით, 2 პროცენტის ბარიერის პირობებში ჩატარდება³⁹. 18 ივლისს შეიქმნა პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიაც⁴⁰. 7 სექტემბერს, პარლამენტმა, პირველი მოსმენით, საკონსტიტუციო ცვლილებებს ერთხმად დაუჭირა მხარი.

არ გაკეთდა: ამ ეტაპზე, კონსტიტუციური კანონის პროექტის კენჭისყრები მიმდინარეობს საქართველოს პარლამენტში, შესაბამისად ის ბოლომდე შესრულებული არ არის.

- პარლამენტის არანაკლებ 4 წევრისგან შემდგარი ჯგუფი შეძლებს შექმნას საპარლამენტო ფრაქცია, რომელშიც შესაძლებელი იქნება დეპუტატების ჩართვა სხვა პარტიებიდან;

| შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
|----------|---------------------|-------------|
| | | |

გაკეთდა: წარდგენილი საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის მიხედვით, “საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ” საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე”, მიმდინარე და მომდევნო ორი მოწვევის პარლამენტში ფრაქციის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს ოთხზე ნაკლები⁴¹. 7 სექტემბერს, პარლამენტმა, პირველი მოსმენით, საკონსტიტუციო ცვლილებებს ერთხმად დაუჭირა მხარი.

არ გაკეთდა: ამ ეტაპზე კონსტიტუციური კანონის პროექტის კენჭისყრები მიმდინარეობს საქართველოს პარლამენტში, შესაბამისად, ის ბოლომდე შესრულებული არ არის.

- პარტიები მხარს დაუჭერენ 2 მარტს პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტს შემდეგი დამატებით ან შესწორებებით:
- ადგილობრივი არჩევნები: პროპორციული და მაჟორიტარული მანდატების 4/1 პროპორცია ხუთ დიდ ქალაქში და 2/1 პროპორცია ყველა დანარჩენში. 2.5% ბარიერი თბილისში, 3% ბარიერი ყველგან თბილისს გარეთ;

39. საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე” - <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/278611?>

40. პარლამენტის დადგენილება - <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/279430?>

41. საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე” - <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/278611?>

| შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
|----------|---------------------|-------------|
| | | |

საარჩევნო კოდექსის განახლებული რედაქციის მიხედვით, თბილისის საკრებულოში მანდატების 80% პროპორციული წესით აირჩევა. ამავე პრინციპით უნდა აირჩეს საკრებულოს შემადგენლობის იგივე წილი სხვა თვითმმართველ ქალაქებშიც. თვითმმართველი თემების საკრებულოში პროპორციული ადგილების წილი სრული შემადგენლობის პროპორცია 2/1 პროპორციამდე გაიზარდა. ასევე, ცვლილებების მიხედვით, თბილისის საკრებულოს არჩევნებისთვის საარჩევნო ბარიერად - 2.5%, ხოლო ყველა სხვა მუნიციპალიტეტის შემთხვევაში 3% განისაზღვრა.⁴²

პარლამენტმა მესამე, საბოლოო მოსმენით, 86 ხმით 3-ის წინააღმდეგ, დაამტკიცა საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებები. საპარლამენტო ოპოზიციის ფრაქციებმა - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ და „ლელო“ - პარტნიორობა საქართველოსთვის“ არ დაამტკიცეს არჩევნებთან დაკავშირებული ცვლილებები.⁴³

- ცენტრალური საარჩევნო კომისია: 8 პროფესიული და 9 პარტიული წევრი. პროფესიული წევრები აირჩევა პარლამენტის სრული შემადგენლობის 2/3-ით. ცესკოს თავმჯდომარის მოადგილე უნდა იყოს ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი;

| შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
|----------|---------------------|-------------|
| | | |

გაკეთდა: საკანონმდებლო ცვლილებებით, ცესკო, თავმჯდომარის ჩათვლით, არაუმეტეს 17 წევრისგან დაკომპლექტდება, რომელთაგან არაუმეტეს 9 წევრს პარტიები დანიშნავენ, ხოლო 8 წევრს, მათ შორის თავმჯდომარეს, პრეზიდენტის წარდგენით პარლამენტი აირჩევს 5 წლით. ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების ასარჩევად საჭირო იქნება პარლამენტის სრული შემადგენლობის 2/3-ის მხარდაჭერა. ცვლილებების შესაბამისად ცესკოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩეულ იქნა ოპოზიციური პარტიის მიერ დანიშნული წევრი.

არ გაკეთდა: კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად, თუ პარტიის სიით არჩეულმა საქართველოს პარლამენტის ყველა წევრმა, რომელიც ახორციელებს საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილებას, დატოვა პარტია და ყველა ერთად გახდა სხვა პარტიის წევრი, ცესკოს 1 წევრის დანიშვნის უფლება ამ პარტიაზე გადადის.⁴⁴

შესაბამისად, 9 პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი იქნება წარმოდგენილი საარჩევნო ადმინისტრაციაში, თუმცა ეს ის 9 პოლიტიკური პარტია არ არის, რომელმაც 2020 წელს გადალახა საარჩევნო ბარიერი. ორი მათგანი დარჩა კომისიის მიღმა, ხოლო მათ

42. საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებები: შეფასება და რეკომენდაციები. 27 აგვისტო, 2021 <https://isfed.ge/geo/angarishebi/saarchevno-kodeqsshi-sheisuli-tsvlilebebi-shefaseba-da-rekomendatsiebi>

43. პარლამენტმა საარჩევნო კოდექსის ცვლილებები 86 ხმით მიიღო - <https://bit.ly/3ACf1y8>

44. საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხ.: 196¹.4 - 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებამდე ცესკოში წარმოშობილ ვაკანტურ თანამდებობაზე პირის არჩევის/დანიშვნის დროებითი წესი

ნაცვლად ადმინისტრაციაში მოხდნენ ისეთი პარტიები, რომელთაგან ერთს არჩევნებში 2020 წელს დამოუკიდებლად არ მიუღია მონაწილეობა, ხოლო მეორე მონაწილეობდა ბლოკით და ბლოკის მეშვეობით სხვა, ბარიერგადალახულ პარტიაზე მეტი სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვა.

საარჩევნო რეფორმის მიღების შემდეგ, 28 ივნისს, 9 პოლიტიკურმა პარტიამ დანიშნა თავისი წევრები ცესკოში. გამოცხადდა კონკურსი ორი პროფესიული წევრისა და ცესკოს თავმჯდომარის პოზიციაზე. ცესკოს 5 პროფესიული წევრი უცვლელი დარჩა, რადგან მათი უფლებამოსილების ვადა ჯერ არ ამოწურულა.

- საოლქო საარჩევნო კომისია იგივე პროპორციით დაკომპლექტდება და პროფესიული წევრების ასარჩევად საჭირო იქნება ცესკოში ხმების 2/3;

| შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
|----------|---------------------|-------------|
| | | |

გაკეთდა: საოლქო კომისიის შემადგენლობა ცესკოს მსგავსად 17 წევრიანი გახდა. 8 წევრს ნიშნავს ცესკო, ხოლო არაუმეტეს 9 წევრს ნიშნავს იგივე პოლიტიკური პარტიები. საოლქო საარჩევნო კომისიის 8 პროფესიული წევრის ასარჩევად კანონმდებლობით განისაზღვრა 2/3-ის უმრავლესობა. თუმცა, აქვე ჩაიდო პროფესიული წევრების არჩევის შესაძლო დაბლოკვის საწინააღმდეგო მექანიზმი – მეორე კენჭისყრით, კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით არჩევა⁴⁵.

არ გაკეთდა: ნორმის ამგვარი ფორმულირებით, საოლქო კომისიის არაპარტიული წევრების არჩევის წესი არსებითად იგივე რჩება და მათ კვლავ ცესკოს უმრავლესობა აირჩევს. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის შერჩევის პროცესში ცესკოს წევრთა 2/3-ის მხარდაჭერით აირჩა საოლქო საარჩევნო კომისიის მხოლოდ 44.95 % – 98 დროებითი წევრი.

- საუბნო საარჩევნო კომისია იგივე პროპორციით დაკომპლექტდება. პროფესიული წევრები ინიშნება საოლქო საარჩევნო კომისიების უბრალო უმრავლესობას +1 ხმით. საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელ ოქმებს ხელი უნდა მოაწეროს მინიმუმ 5 პროფესიულ წევრს +1 პოლიტიკური პარტიის წევრმა;

| შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
|----------|---------------------|-------------|
| | | |

გაკეთდა: საარჩევნო კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის 8 წევრს ირჩევს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ით, იმ პირობით, რომ კანდიდატურას მხარი დაუჭირა, მათ შორის, ცესკოს მიერ 5 წლის ვადით არჩეულმა შესაბამისი საოლქო საარჩევნო

45. 19 აპრილის შეთანხმებით, დაბლოკვის საწინააღმდეგო მექანიზმი წარმოდგენილია მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების არჩევის პროცესში და არაფერია ნათქვამი ქვედა დონის საარჩევნო კომისიების წევრთა არჩევის პროცესზე.

კომისიის 3-მა წევრმა მაინც. თუ კანდიდატების მიერ მიღებულ ხმათა თანაბრობის გამო გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ამ კანდიდატებს დაუყოვნებლივ ეყრებათ კენჭი მათ შორის გამარჯვებულის გამოსავლენად. ხელახალი კენჭისყრისას არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელსაც მხარს დაუჭერს შესაბამისი საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. თუ გამარჯვებული კვლავ ვერ გამოვლინდა, იგი წილისყრით განისაზღვრება.

საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს. შემაჯამებელი ოქმი იურიდიული ძალის მქონეა, თუ მას ხელი მოაწერა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა უმრავლესობამ.

არ გაკეთდა: საარჩევნო კოდექსის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილი კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი იურიდიული ძალის მქონეა, თუ მას ხელი მოაწერა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა უმრავლესობამ.⁴⁶ განსაზღვრული არ არის ამ უმრავლესობაში პროცენტული წევრების წილი.

- ცესკოს თავმჯდომარეს პარლამენტი ირჩევს ხმების 2/3-ით;

| შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
|----------|---------------------|-------------|
| | | |

კანონის ახალი რედაქციით, ცესკოს თავმჯდომარეს პარლამენტი სრული შემადგენლობის 2/3 (100 ხმა) ირჩევს. თუმცა, ამავე დროს გათვალისწინებულია დაბლოკვის საწინააღმდეგო მექანიზმი.

- ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ან/და პროცესული წევრების არჩევის შესაძლო დაბლოკვის საწინააღმდეგო მექანიზმი შემდეგნაირად ჩამოყალიბდება:
 1. პირველ ორ მცდელობას პარლამენტის სრული შემადგენლობის 2/3 - მესამე მცდელობას პარლამენტის 3/4, ხოლო, შემდგომ მცდელობებს ხმების უბრალო უმრავლესობა დასჭირდება.

| შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
|----------|---------------------|-------------|
| | | |

საარჩევნო კოდექსის ახალი რედაქციით, ცესკოს თავმჯდომარესა და პროცესულ წევრებს პარლამენტი სრული შემადგენლობის 3/4-ით (100 ხმა) ირჩევს. თუ კანდიდატი 2 ჯერზე ვერ მიიღებს ასეთ მხარდაჭერას, მესამე ცდაზე საჭიროა 3/5-ის (90 ხმა) მხარდაჭერა. თუ ამდენი ხმაც ვერ მოგროვდა, მეოთხე კენჭისყრისას, პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერაა საკმარისი.

46. საარჩევნო კოდექსი, მუხ.: 71.6¹

2. ყოველი მომდევნო კენჭისყრის ჩატარება არა უადრეს 4 კვირისა წინა კენჭისყრიდან.

| შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
|----------|---------------------|-------------|
| | | |

არ გაკეთდა: კენჭისყრებს შორის პერიოდი არანაკლებ 4 კვირა უნდა ყოფილიყო, თუმცა, ცვლილებების განხილვის პროცესში 4 კვირიანი ვადა 2021 წლის არჩევნებისთვის 1 კვირამდე შემცირდა. ძირითად წესთან ერთად, რომელიც კენჭისყრებს შორის 4 კვირიან⁴⁷ შუალედს ითვალისწინებს, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში შევიდა 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებამდე ცესკოში წარმოშობილ ვაკანტურ თანამდებობაზე პირის არჩევის დროებითი წესიც. ამ უკანასკნელის მიხედვით, 1 კალენდარულ კვირაში არ შეიძლება ერთზე მეტი კენჭისყრის ჩატარება.⁴⁸

ვენეციის კომისიამ ჯერ კიდევ კანონპროექტის ეტაპზე შეაფასა უარყოფითად და აღნიშნა, რომ ამით მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს შორის კონსენსუსის მიღწევის შესაძლებლობა შესაძლოა შემცირებულიყო.⁴⁹ პრაქტიკაში ეს მოლოდინი გამართლდა, ვინაიდან ცესკოს სამივე ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატებიდან ვერც ერთმა ვერ შეძლო საპარლამენტო ოპოზიციის მხარდაჭერის მოპოვება და 2 აგვისტოს ისინი 6 თვის ვადით პარლამენტის უბრალო უმრავლესობით აირჩიეს.

3. არჩევის შესაძლო დაბლოკვის საწინააღმდეგო ამ პროცედურის შესაბამისად ჩატარებული ნებისმიერი დანიშვნა (სრული შემადგენლობის ხმების 2/3-ზე ნაკლები) უნდა იყოს დროებითი. მისი ვადა ექვსი თვით შემოიფარგლება, რომლის განმავლობაშიც დანიშვნის სტანდარტული პროცედურა თავიდან უნდა დაიწყოს.

| შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
|----------|---------------------|-------------|
| | | |

ცვლილებების თანახმად, თუ კანდიდატი $\frac{2}{3}$ - მხარდაჭერით არაა არჩეული, მისი უფლებამოსილების ვადა 6 თვეს შეადგენს.

- უნდა განისაზღვროს მკაფიო კრიტერიუმები ბიულეტენების გადასათვლელად. ქვეყნის მასშტაბით უბნების 10%-ის ავტომატური გადათვლის წესი ძალაში რჩება.

| შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
|----------|---------------------|-------------|
| | | |

47. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხ.: 205.7-8, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4401423?publication=24>

48. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხ.: 2282.² - 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებამდე ცესკოში წარმოშობილ ვაკანტურ თანამდებობაზე პირის არჩევის დროებითი წესი

49. EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), Urgent Joint Opinion on revised draft amendments to the Election Code, CDL-PI(2021)011, 18.06.2021, §21, [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI\(2021\)011-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2021)011-e)

საოლქო საარჩევნო კომისიები მთელი ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო უბნების 10%-ს სავალდებულო წესით გადაითვლიან.

საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისია ვალდებულია კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს მე-ნ დღისა საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე არსებული საარჩევნო უბნებიდან შემთხვევითი შერჩევით კომისიის სხდომაზე გამოავლინოს 5 საარჩევნო უბანი, გახსნას ამ საარჩევნო უბნების საუბნო საარჩევნო კომისიებისგან მიღებული პაკეტები და ხელახლა დათვალოს საარჩევნო ბიულეტენები; ქვეყანაში 73 საარჩევნო ოლქია, შესაბამისად, გადასათვლელი უბნების რაოდენობა, 10%-ს აღწევს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ბუნდოვანია შემთხვევითი შერჩევის პრინციპი, წარმომადგენლობითი შედეგის მისაღებად, გათვალისწინებული უნდა იყოს საარჩევნო უბნის ზომა და სხვა სპეციფიკა.

გადათვლის კრიტერიუმები - საოლქო საარჩევნო კომისია ვალდებულია გახსნას შესაბამისი საარჩევნო დოკუმენტაცია და ხელახლა დათვალოს კენჭისყრის შედეგები იმ შემთხვევაში, როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში, ისე, რომ მას არ ახლავს შესწორების ოქმი, გადასწორებულია საარჩევნო სუბიექტისთვის მიცემულ ხმათა რაოდენობა, არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ან/და ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენტა რაოდენობა.

- ცესკოს უფლებამოსილების ქვეშ შეიქმნება მიზნობრივი ჯგუფი, რომელშიც შევლენ სახალხო დამცველის ოფისისა და მოწვეული, სანდო, მიუკერძოებელი არჩევნებზე სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები, და ასევე სანდო ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები, დავების განხილვის პროცესისთვის და ცესკოსთვის დროული რეკომენდაციების წარსადგენად. შესაძლებელია, რომ ამ ჯგუფს მიენიჭოს დამატებითი ფუნქციები, როგორცაა გადათვლის პროცესში ჩართვა;

| შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
|----------|---------------------|-------------|
| | | |

გაკეთდა: ცვლილებების მიხედვით, უნდა ჩამოყალიბდეს საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც ცესკოს საარჩევნო დავებთან დაკავშირებით რეკომენდაციებს წარუდგენს. ის უნდა დაკომპლექტდეს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლისგან და დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ შერჩეული საერთაშორისო ან/და ადგილობრივი ექსპერტებისგან.

არ გაკეთდა: კანონში ბუნდოვანი და დაუზუსტებელია საკონსულტაციო ჯგუფის წევრთა შერჩევის კრიტერიუმი, ასევე მისი საქმიანობის მანდატი. ამგვარი ბუნდოვანება იძლეოდა შესაძლებლობას დაკომპლექტების პროცესში პრობლემები გამოვლენილიყო, რაც ასევე მოხდა. მონაწილეობის სურვილი 15-მა ისეთმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ გამოთქვა, რომელთა სანდოობისა და ფინანსური გამჭვირვალობის კუთხით

სერიოზული კითხვები არსებობს. ამასთან, ცესკოს დადგენილებაში თავდაპირველად ეწერა, რომ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს საკონსულტაციო ჯგუფის წევრები კონსენსუსით უნდა შეერჩიათ, თუმცა ნ აგვისტოს ცვლილების მიხედვით, თუ ჯგუფის წევრები კონსენსუსით ვერ შეირჩა, კანდიდატურებს ხელახლა ეყრებათ კენჭი და არჩეულად ჩაითვლება ის, ვისაც მხარს დაუჭერს სადამკვირვებლო ორგანიზაციების 2/3. ამ ცვლილებამ შესაძლებელი გახადა, რომ საკონსულტაციო ჯგუფი სრულად დაკომპლექტებულიყო საეტვო რეპუტაციის მქონე სადამკვირვებლო ორგანიზაციებისგან. ამრიგად, შერჩევა სავარაუდოდ, ვერ უზრუნველყოფს საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობის ზრდას.⁵⁰

- ვენეციის კომისიის და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) 2021 წლის 20 მარტის ერთობლივი დასკვნის შესაბამისად, რომელიც შეეხება 2021 წლის იანვარში ინიცირებულ ორ კანონპროექტს (საკანონმდებლო ცვლილებებს პარტიების რეგისტრაციისა და დაფინანსების შესახებ) და შეთავაზებული ცვლილებები უნდა გადაიხედოს;

ამ დასკვნის მიხედვით:

1. პარტიას არ შეიძლება გაუუქმდეს რეგისტრაცია, თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე მის სასარგებლოდ აგიტაციას ეწევა;
2. პარტიების სახელმწიფო დაფინანსება არ შეიძლება მიბმული იყოს მათ მიერ საპარლამენტო მანდატების ათვისებაზე.

| შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
|----------|---------------------|-------------|
| | | |

გაკეთდა: პარტიის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების ინიციატივა, თუ მის სასარგებლოდ აგიტაციას აქტიური საარჩევნო უფლების არმქონე პირი აწარმოებდა, კანონმდებლობაში არ ასახულა.

არ გაკეთდა: „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილების მიხედვით, პარტია სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღების უფლებას კარგავს, თუ ამ პარტიის წარდგენით არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრთა ნახევარს ან ნახევარზე მეტს ვადამდე შეუწყდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილება და შეუძლებელია მისი/მათი ადგილმონაცვლე იმდენი პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობა, რომ აღნიშნული პარტიის წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრთა რაოდენობა იმავე პარტიის მიერ მიღებული პარლამენტის წევრთა მანდატების ნახევარზე მეტი იყოს.

გარდა ამისა, პარტია მომდევნო 6 თვის დაფინანსებას ვერ მიიღებს, თუ მისი წარდგენით არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრთა ნახევარზე მეტი პარლამენტის შესაბამისი წინა მორიგი სესიის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ დაესწრება პარლამენტის მორიგი პლენარული სხდომების ნახევარზე მეტს. ამ გარემოების წარმოშობის შემთხვევაში პარტიას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსე-

50. იქვე

ბა შეუჩერდება მომდევნო კალენდარული თვის პირველი დღიდან. იგივე ვრცელდება ბლოკში შემავალ პარტიაზე. ეს წესები 2022 წლის 1 თებერვლიდან ამოქმედდება.

ხოლო, პარტიას, რომელმაც ამ კანონის ამოქმედებამდე დაკარგა 2020 წლის არჩევნების საფუძველზე მოპოვებული დაფინანსების მიღების უფლება, ამ კანონის ამოქმედებისთანავე აღუდგება და მიეცემა ის თანხა, რომელსაც ამ კანონის ამოქმედებამდე მიიღებდა, რომ არ დაეკარგა ზემოაღნიშნული დაფინანსების მიღების უფლება. აღნიშნულ პოლიტიკურ პარტიას უფლება მიეცა, ამ წესის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში უარი ეთქვა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღებაზე.⁵¹

51. საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე” - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5194833?-publication=1>

პანონის უზენაესობა/ სასამართლო რეფორმა

ავტორი:
საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი (OSGF)

ამ საპარლამენტო ვადაში, ფართომასშტაბიანი, ინკლუზიური და ყველა პარტიის მონაწილეობით შემუშავებული რეფორმების გზაზე პირველი ნაბიჯის გადადგმის ნიშნად, პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს ამბიციური სასამართლო რეფორმა“.

| შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
|----------|---------------------|-------------|
| | | |

პოლიტიკური შეთანხმება, რომელსაც ხელი 19 აპრილს მოეწერა, კანონის უზენაესობისა და სასამართლოს რეფორმის ნაწილში აწესებს როგორც შინაარსობრივ, ასევე, პროცედურულ მოთხოვნებს. რეფორმების განხორციელების აუცილებლობასთან ერთად, ზემოაღნიშნული ვალდებულება ასევე მოითხოვს, პროცესში ყველა ხელმომწერის მონაწილეობასა და კონსენსუსის საფუძველზე შემუშავებულ საკანონმდებლო ინიციატივებს.

2021 წლის საგაზაფხულო სესიის განმავლობაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებები ერთხელ შევიდა. კანონპროექტი 2021 წლის 24 მარტს, ქართული ოცნების სამი პარლამენტარის მიერ დაინიცირდა⁵² და ოპოზიციური სპექტრის, ისევე როგორც არასამთავრობო სექტორის მონაწილეობის გარეშე, დაჩქარებული წესით, 2021 წლის 1 აპრილს დამტკიცდა. ამასთან, პარლამენტმა, ცვლილებები ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნის მიღებამდე დაამტკიცა.⁵³

2021 წლის 29 ივნისს კი, საქართველოს პარლამენტში „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტი დარეგისტრირდა. მართალია, პროექტი ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად მომზადდა და მასში მონაწილეობა საპარლამენტო ოპოზიციურმა ძალებმაც მიიღეს, თუმცა, 2021 წლის 7 სექტემბერს, მმართველმა ძალამ, პროკურატურის რეფორმასთან დაკავშირებული საკითხები პროექტიდან სრულად ამოიღო.⁵⁴ შესაბამისად, პროექტის შემუშავების პროცესში, გარანტირებული ლიმიტირებული ინკლუზიურობა საერთოდ აღარ მიემართება ამ თავით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ზოგადად, როგორც დოკუმენტის ხელმოწერამდე, ისე, მას შემდეგ, მმართველი ძალის მიერ, კანონის უზენაესობასა და სასამართლო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები, დახურულ კარს მიღმა, ოპოზიციური სპექტრისა და არასამთავრობო სექტორის მნიშვნელოვანი მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობს.

52. კანონპროექტი: „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, იხ: <https://parliament.ge/legislation/21840>

53. ევროკავშირის სპიკერის შეფასება, საკანონმდებლო ცვლილებების ნაჩქარევად მიღებასთან დაკავშირებით, იხ: https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-Homepage/96302/node/96302_en

54. საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ იხ: <https://parliament.ge/legislation/22438>

- სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულების და ხარისხის გასაზრდელად, საქართველოს ხელისუფლებამ, 2017 და 2019 წლებში მიღებული მართლმსაჯულების რეფორმების ორი პაკეტის შესაბამისად:

ა) პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლეების დანიშვნისას უნდა გაზარდოს გამჭვირვალობა და დამსახურებაზე დაფუძნებული შერჩევა, განსაკუთრებით მოსამართლეების დასანიშნად კეთილსინდისიერებასა და კომპეტენციის კრიტერიუმებზე დაფუძნებული წერილობითი დასაბუთების გამოქვეყნების გზით;

| შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
|----------|---------------------|-------------|
| | | |

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტს არ მიუღია არცერთი საკანონმდებლო რეგულაცია, რომელიც დამატებით მოაწესრიგებდა სასამართლო სისტემაში, პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეთა დანიშვნის პროცესს. უფრო მეტიც, ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმის ტალღები, თუ მცირე ინიციატივები, ვერ უზრუნველყოფს დამსახურებაზე დაფუძნებული შერჩევის პრინციპის პრაქტიკაში რეალიზებას.

მართალია, 2019 წლის დეკემბერში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მოსამართლის დანიშვნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება დაევალა,⁵⁵ თუმცა, იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ ასაბუთებს კანდიდატის დანიშვნაზე უარის თქმის შემთხვევებს. ამასთან, კანდიდატებს არ გააჩნიათ **გასაუბრებიდან კენჭისყრის ეტაპზე გადასვლაზე უარის გასაჩივრების შესაძლებლობა.**⁵⁶

ორგანული კანონი ოფიციალურად განსაზღვრავს კრიტერიუმებს, ქულებსა და, შეფასების პროცედურებს, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრის მეშვეობით.⁵⁷ კენჭისყრის დროს კი საბჭოს წევრი არ არის შეზღუდული კანდიდატების მიერ მანამდე მიღებული შეფასებებით. შესაბამისად, მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს კანდიდატი, რომელსაც, კრიტერიუმების მიხედვით, საუკეთესო შედეგი არ ჰქონია. ეს უკანასკნელი ცალსახად ეწინააღმდეგება, ობიექტური და მიუკერძოებელი შერჩევის პრინციპს.⁵⁸

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეებს, ხმების 2/3-ით ირჩევს, თუმცა, ვინაიდან თავად საბჭოს დაკომპლექტების წესი არ არის კონსენსუსზე დაფუძნებული, ხმის მიცემის ლოგიკა არ ემსახურება სხვადასხვა ჯგუფების ინტერესების წარმოჩენის მიზანს და პრაქტიკაში ვერ უზრუნველყოფს „დამსახურებაზე დაფუძნებულ“ შერჩევას.

55. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 13/12/2019, 5569-ის, 1-ლი მუხლის მე-5 პუნქტი
 56. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში“, 2021, გვ. 15, იხ: <https://bit.ly/3zcdcGu>
 57. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, მუხლი 36 (4)
 58. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია „მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა საქართველოში“, 2021 წელი, გვ. 44, იხ: <https://bit.ly/2YUZifl>

აღსანიშნავია, რომ ორგანული კანონის 37-ე მუხლი, კონკურსის გარეშე მოსამართლეთა მიერ სასამართლოს შეცვლის (მათ შორის, ზემდგომ ინსტანციაში დაწინაურების) შესაძლებლობას ითვალისწინებს, რაც დამატებით გამორიცხავს პროცესების მიუკერძოებლად და გამჭვირვალედ ჩატარების შესაძლებლობას. ბოლო წლების პრაქტიკით, სწორედ აღნიშნული ნორმის გამოყენებით, დამსახურებაზე დაფუძნებული დანიშვნების გვერდის ავლით, ხდება ყველაზე ხშირად მოსამართლეთა დაწინაურება.⁵⁹

ბ) პარლამენტს უნდა წარუდგინოს კანონპროექტი უზენაეს სასამართლოში დანიშვნებთან დაკავშირებით, ვენეციის კომისიის 2019 წლის 24 ივნისის #949/2019 დასკვნის გათვალისწინებით, განსაკუთრებით, რაც ეხება დანიშვნებისადმი ეტაპობრივ მიდგომას, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ღია კენჭისყრას და საბჭოს მიერ წარდგენების დასაბუთების საჭიროებას;

| შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
|----------|---------------------|-------------|
| | | |

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის წესთან დაკავშირებით პარლამენტმა 2020 წლის სექტემბერში მიიღო კანონი, რომლითაც ეცადა 2019 წლის 24 ივნისის ვენეციის კომისიის რეკომენდაციების კანონში ასახვას.⁶⁰ ცვლილებებით გაუქმდა კანდიდატთა სიის პირველი ფარული კენჭისყრა, დადგინდა რეგისტრაციის შემდეგ საჯაროდ მოსმენის პროცედურა, საბჭოს თითოეულ წევრს დაევალა კანდიდატისთვის დაწერილი ქულისა და შეფასების წერილობითი დასაბუთების მომზადება და მისი ვებ-გვერდზე გამოქვეყნება (საბჭოს წევრის მითითების გარეშე) დამატებით, შესაძლებელი გახდა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სხვადასხვა ეტაპზე გასაჩივრება.

საკანონმდებლო ცვლილებების განხილვა და მიღება, რამდენიმე დღეში, სამოქალაქო საზოგადოებისა და ოპოზიციური სპექტრის მონაწილეობის გარეშე განხორციელდა, ამასთან, ნიშანდობლივია, რომ საქართველოს პარლამენტმა ვენეციის კომისიის 2020 წლის 22 სექტემბერს მიმართა, ხოლო ცვლილებების პროექტი, კომისიის მოსაზრებების გამოქვეყნებამდე, 2020 წლის 30 სექტემბერს დაამტკიცა.⁶¹ კომისია, 8 ოქტომბერს გამოქვეყნებული მოსაზრებით მიიჩნევს, რომ გაუმჯობესების მიუხედავად, კანონპროექტი ვერ პასუხობდა მართლმსაჯულების სისტემის მთავარ გამოწვევებს.⁶²

შემდგომი განახლება ორგანულმა კანონმა 2021 წლის 1 აპრილს განიცადა, რომელიც დიდწილად უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა არჩევა-დანიშვნის წესში ცვლილებებს მოიცავდა. კერძოდ, გაუქმდა ნახევრად ღია კენჭისყრა; შეფასებები და დასაბუთებები გახდა საჯარო; გაფართოვდა საბჭოს გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობები;

59. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, “მოსამართლეთა წინასაარჩევნო მიგრაცია”.nb: <https://bit.ly/3sGCACi>

60. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 30/09/2020, 7205-Is

61. ვენეციის კომისიის დასკვნა, No. 1001/2020, 8 ოქტომბერი, 2020 წელი, პარა1-6, nb: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDI-AD\(2020\)021-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDI-AD(2020)021-e)

62. ვენეციის კომისიის დასკვნა, No. 1001/2020, 8 ოქტომბერი, 2020 წელი, პარა 33-36, nb: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDI-AD\(2020\)021-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDI-AD(2020)021-e)

გაუქმდა კანდიდატურების საჯარო მოსმენის შემდეგ კენჭისყრის ჩატარების წესი და შემდეგ ეტაპზე, საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატების გადასვლა გახდა სავალდებულო.⁶³

ქვეყანაში არსებული მწვავე პოლიტიკური კრიზისის, საერთაშორისო პარტნიორების მონაწილეობით მიმდინარე მედიააციისა და სასამართლო სისტემის მიმართ უნდობლობის ფონზე, მსგავსი პროცედურული ხასიათის გაუმჯობესებები, ცხადად ვერ აკმაყოფილებს სასამართლო სისტემის ძირეული გარდაქმნის მოთხოვნას.⁶⁴ ამავე სულისკვეთებას იზიარებს ვენეციის კომისიის 28 აპრილის გადაუდებელი სამართლებრივი დასკვნა, რომელიც აღიარებს კანონმდებლობის გაუმჯობესებისკენ გადადგმულ ნაბიჯებს, თუმცა თვალნათლივ მიუთითებს, რომ მოუგვარებელი რჩება რიგი საკითხებისა, მათ შორის, კანდიდატების მიმართ უთანასწორო მოპყრობის შესაძლებლობა. სწორედ ამ მიზეზით, ხაზგასმულია პროცესების თავიდან დაწყების აუცილებლობა, ისევე როგორც, რეკომენდირებული მოსამართლეთა დანიშვნების გადავადება, ახალ, ფუნდამენტურ რეფორმამდე.⁶⁵ ამასთან, კომისიის მიერ 2019 წელს და შემდგომ გამოქვეყნებული ანგარიშებიც ცხადად მიუთითებს, რომ ვენეციის კომისიას ზუსტად ესმის საქართველოში სასამართლო სისტემის რეფორმის მთავარი გამოწვევა – საზოგადოებრივი ნდობის ნაკლებობა,⁶⁶ რასაც დღემდე მიღებული ვერცერთი საკანონმდებლო ცვლილება ვერ პასუხობს.⁶⁷

დ) მიიღოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2019 წლის ივნისში მიღებული გადაწყვეტილების აღმსრულებელი კანონმდებლობა, სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოსაქვეყნებლად წესების დადგენის გზით.

| შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
|----------|---------------------|-------------|
| | | |

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილების აღსასრულებლად, საქართველოს პარლამენტის წევრთა მიერ, 2021 წლის 1 ივლისს ინიცირდა კანონპროექტი, რომლის მოსმენა აქამდე ორჯერ გადაიდო და გაურკვეველია, როდის შეძლებს პარლამენტი მის დამტკიცებას.⁶⁸ ამასთან, აღნიშნული კანონპროექტი შეიცავს რიგ ნორმებს, რომლებიც ამარცხებს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებუ-

63. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე”, 01/04/2021, იხ: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/272643>

64. კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, განცხადება უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტების წესში დაანონსებულ ცვლილებებზე, იხ: http://coalition.ge/index.php?article_id=252&clang=0

65. ვენეციის კომისიის მოსაზრება No. 1039/2021, 28 აპრილი, 2021 წ, პარა.20, იხ: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CdI-Pl\(2021\)007-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CdI-Pl(2021)007-e)

66. ვენეციის კომისიის მოსაზრება N 949 /2019, 16 აპრილი, 2019წ, პარა.63-64, იხ: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CdI-Pl\(2019\)002-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CdI-Pl(2019)002-e)

67. კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, განცხადება უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტების წესში ცვლილებების თაობაზე, იხ: http://coalition.ge/index.php?article_id=252&clang=0

68. კანონპროექტი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ N07-3/95/10, იხ: https://parliament.ge/legislation/22494?fbclid=IwAR2bWXzSZ_WCYqfGoFW7u-v4T748Hz-xNEDm-3XV5GMt-fjYXYpidYxwMXs

ლების მიზნებს. კერძოდ, ცვლილებები შეუძლებელს ხდის სასამართლოს აქტის საჯარო ინფორმაციის სახით მიღებას აქტის მიღებიდან ერთ წელზე ადრე, ამასთან, დაწესებულია 2022 წლის პირველ იანვრამდე მიღებული სასამართლო აქტების 2024 წლამდე გაცემის ბლანკეტური აკრძალვა.⁶⁹

- ამავედროულად, უზენაეს სასამართლოში ყველა მიმდინარე ანიშვნა უნდა შეჩერდეს და ხელახლა დაიწყოს განცხადებების მიღება ახალ კანდიდატებთან დაკავშირებითაც მას შემდეგ, რაც ახალი კანონი ძალაში შევა (უზენაეს სასამართლოში არსებული წესებით დანიშვნებისგან თავი უნდა შეიკავოს);

| შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
|----------|---------------------|-------------|
| | | |

2019 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს 20 კანდიდატიდან 14 თანამდებობაზე დაამტკიცა. პროცესი როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო აქტორების შეფასებით, ვერ აკმაყოფილებდა მიუკერძოებლობისა და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული შერჩევის სტანდარტებს.⁷⁰

დეკემბრის თვეშივე, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ პარლამენტს კვლავ წარუდგინა 7 კანდიდატი, რომელთაგან 6 პირველ ჯერზე დაწუნებული ადგილების შესავსებად, ხოლო 1 დამატებით ვაკანსიაზე იყო წარდგენილი. საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მწვავე კრიტიკის ფონზე, პარლამენტმა კანდიდატების განხილვის პროცესი დროებით შეაჩერა.

2020 წლის სექტემბრის თვეში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, რომელიც თავის მხრივ, ვერ აკმაყოფილებდა ვენეციის კომისიისა და ეუთოს მიერ დაწესებულ მოთხოვნებს,⁷¹ იუსტიციის საბჭომ კვლავ განაახლა პროცესი უზენაეს სასამართლოში არსებული 11 ვაკანტური პოზიციის შესავსებად. მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკური კრიზისისა და მწვავე კრიტიკის მიუხედავად, სექტემბრის შემდეგ პროცესი აღარ შეჩერებულა და საბჭო ეტაპობრივად მართავდა კანდიდატებთან გასაუბრებას. შესაბამისად, 2021 წლის აპრილის დასაწყისისთვის მიღებული ცვლილებების დროს, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უკვე ჩატარებული იყო კანდიდატების ნახევარზე მეტის მოსმენები, სწორედ ამ ფაქტზე დაყრდნობით, ვენეციის კომისია საქართველოს ხელისუფლებას პროცესების თავიდან დაწყების რეკომენდაციას უწევდა.⁷² თუმცა, უზენაეს სასამართლოში დანიშვნების პროცესი არათუ 1 აპრილის საკანონმდებლო

69. Ibid 13⁴ მუხლის მე-8 პუნქტი, 13⁵ მუხლის მე-5 პუნქტი
 70. OSCE-ODIHR, “საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის მეორე ანგარიში ივნისი – დეკემბერი 2019”, გვ.3-8, იხ: https://www.osce.org/files/f/documents/3/1/443497_0.pdf; კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შეფასების თაობაზე, იხ: http://coalition.ge/files/assessment_of_candidates_for_supreme_court_judges.pdf
 71. ვენეციის კომისიის დასკვნა No. 1001/2020, 8 ოქტომბერი, 2020 წელი, პარა 34-36 იხ: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2020\)021-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2020)021-e)
 72. ვენეციის კომისიის მოსაზრება No. 1039/2021, 28 აპრილი, 2021 წ, პარა.18, იხ: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI\(2021\)007-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2021)007-e)

ცვლილებების შემდეგ, არამედ 19 აპრილს გაფორმებული შეთანხმების შედეგადაც არ შეჩერებულა.

შეთანხმებით ნაკისრი ცხადი ვალდებულების საპირისპიროდ, 17 ივნისს საქართველოს იუსტიციის საბჭომ 100 მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის საკითხი განიხილა და პარლამენტს, დასამტკიცებლად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის 9 კანდიდატი წარუდგინა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეფასებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განხორციელებული შერჩევის, მოკვლევისა და ინტერვიუების პროცესი ვერ პასუხობდა საერთაშორისო სტანდარტებს.⁷³

საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მოწოდებების მიუხედავად,⁷⁴ პარლამენტმა 12 ივლისს წარდგენილი კანდიდატებიდან 6 დაამტკიცა. აღსანიშნავია, რომ პლენარულ სხდომაზე, დამსწრეთა 93%-ს მმართველი პარტიის წევრები წარმოადგენდნენ, ვინაიდან, პროცესი ოპოზიციური ძალების ბოიკოტის ფონზე მიმდინარეობდა. საბოლოო ჯამში, პროცესმა კიდევ ერთხელ ვერ უზრუნველყო კანდიდატთა შერჩევა ობიექტური, დამსახურებაზე დაფუძნებული კრიტერიუმების მეშვეობით.⁷⁵ მედიაში მონაწილე საერთაშორისო აქტორები, ცალსახად მიუთითებენ, რომ ამ ნაბიჯით, მმართველმა პარტიამ შეთანხმების სულისკვეთება დაარღვია.⁷⁶

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სიღრმისეული რეფორმა, რათა გაიზარდოს გამჭვირვალობა, კეთილსინდისიერება და ანგარიშვალდებულება, მათ შორის განისაზღვროს დანიშვნის, შეფასების, დაწინაურების, გადაყვანის, დისციპლინური გადაწყვეტილებების და დავების საკითხები, რომელიც გაეგზავნა ვენეციის კომისიის და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს (OSCE/ODIHR) განსახილველად და მათი რეკომენდაციები სრულად უნდა იყოს შესრულებული.

| შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
|----------|---------------------|-------------|
| | | |

რეფორმის ოთხი ტალღის მიუხედავად, კვლავ გამოწვევად რჩება, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, რომელიც სასამართლოს ადმინისტრირებისთვის შექმნილი კოლეგიური ორგანოა, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საკითხი; განსაკუთრებით პრობლემურია გადაწყვეტილებების (მათ შორის, მოსამართლეთა წარდგენა) წინასწარ შეთანხმებული და კოორდინირებული წესებით მიიღება, რაც აზრს უკარგავს კო-

73. OSCE-ODIHR, “საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის შესახებ ანგარიში, დეკემბერი 2020-ივნისი 2021“, გვ.4, იხ: <https://www.osce.org/files/f/documents/c/3/492196.pdf>

74. კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევა თვითნებურად და უსამართლოდ მიმდინარეობს, იხ: http://coalition.ge/index.php?article_id=257&clang=0

75. OSCE-ODIHR, “საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის მეოთხე ანგარიში, 2021 აგვისტო, გვ. 2-3, იხ: <https://www.osce.org/files/f/documents/3/4/496273.pdf>

76. აშშ საელჩოს განცხადება, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნასთან დაკავშირებით, იხ: <https://bit.ly/3nPsAqC>; ევროკავშირის სპიკერის განცხადება, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნასთან დაკავშირებით, იხ: <https://bit.ly/3IFly4R>;

ლეგიალური ორგანოს არსებობას.⁷⁷ საბჭოს მუშაობის პრინციპი მთლიანად გამორიცხავს პლურალიზმს, განხილვასა და კონსენსუსით/შეთანხმებით გადაწყვეტილების მიღებას.⁷⁸ ვენეციის კომისია სწორედ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიმართ არსებული უნდობლობის გამო, საქართველოში არსებულ სიტუაციას „არაორდინალურს“ უწოდებს და აქცენტს მეტი გამჭვირვალობის აუცილებლობაზე სვამს.⁷⁹

გავლენიანი ჯგუფების მოქმედებას იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ხელს უწყობს საბჭოს წევრების შერჩევის მოქმედი რეგულაცია, რომელიც არ იძლევა საშუალებას კანდიდატები დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კრიტერიუმით შეირჩინენ.⁸⁰ სიტუაციის გამოსასწორებლად აუცილებელია სათათბირო დემოკრატიის გაძლიერებითა და კონსენსუსზე ორიენტირებული პროცედურების იმპლემენტაციის გზით, შეიცვალოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესი და უფლებამოსილების ფარგლები. კერძოდ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების პროცესში ფუნქციური დატვირთვა უნდა მიენიჭოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის უმცირესობის ინტერესებს, პარლამენტის კვოტით არამოსამართლე წევრების არჩევის შემთხვევაში კი ოპოზიციის როლი უნდა გაიზარდოს.⁸¹

19 აპრილის შეთანხმებით გათვალისწინებული ფუნდამენტური რეფორმის ნაცვლად, 2021 წლის 26 მაისს მოსამართლეთა კონფერენციამ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში 4 წლის ვადით 4 მოსამართლე წევრი აირჩია, ამასთან, ჩატარებულ კონფერენციაზე, მოსამართლეთა კორპუსს არ ჰქონდა წინასწარი ინფორმაცია, თუ ვინ იქნებოდა საბჭოს წევრობის კანდიდატი და აღნიშნული მათთვის მხოლოდ კონფერენციის დღეს გახდა ცნობილი და მოსამართლეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ, ყოველგვარი კითხვებისა და დაინტერესების გარეშე დაუჭირა მხარი წამოყენებულ კანდიდატებს.⁸²

საბოლოო ჯამში, მმართველ პარტიას ამ დრომდე არ დაუწყია მსჯელობა საბჭოს ფუნდამენტური რეფორმის თაობაზე, მსგავსი ინიციატივა არც ბოლო საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის განმავლობაში დადგა დღის წესრიგში. ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტს კვლავ დასანიშნი ჰყავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 5 არამოსამართლე წევრი. ისევე როგორც 19 აპრილის შეთანხმების მედიატორი საერთაშორისო აქტორები, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისიც რეკომენდაციით მოუწოდებს მმართველ ძალას, განახორციელოს ფუნდამენტური რეფორმები და ამ პროცესის დასრულებამდე არ დაინიშნოს წევრები საბჭოში.⁸³

77. საქართველოს სახალხო დამცველის, 2019 წლის 28 ივნისის განცხადება, იხ: <https://bit.ly/3kqIGou>

78. საქართველოს სახალხო დამცველი, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2020 წლის ანგარიში“ გვ.112 იხ: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf>

79. ვენეციის კომისიის დასკვნა, No. 1001/2020, 8 ოქტომბერი, 2020 წელი, იხ: <https://bit.ly/2XIEojF>

80. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის N9-ე ანგარიში, 2021 წ, გვ. 7, იხ: <https://bit.ly/3tSmeHT>

81. არასამთავრობო ორგანიზაციების ხედვა, „სასამართლო სისტემის რეფორმის კონცეფცია“, 17 მარტი 2021, იხ: <https://bit.ly/3tSSg6q>

82. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება, ხელისუფლების უმოქმედობა კლანის მხარდაჭერის დემონსტრირება, 28 მაისი, 2021, იხ: <https://bit.ly/2Z4q6tQ>

83. OSCE-ODIHR, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის მეოთხე ანგარიში, 2021 აგვისტო, გვ. 23, იხ: <https://www.osce.org/files/f/documents/3/4/496273.pdf>

- რაც შეეხება მომავალ გენერალურ პროკურორებს, საკონსტიტუციო ცვლილებების განსახორციელებლად აუცილებელი პროცედურების შემდეგ, საჯარო დებატების ჩათვლით, მხარეები იღებენ ვალდებულებას, განაგრძონ საერთო პოლიტიკური პოზიციის გაზიარება, რომ შემდეგი გენერალური პროკურორების დანიშვნისთვის საჭირო იქნება პარლამენტის წევრთა კვალიფიციური უმრავლესობის ხმები, რაც ფართომასშტაბიან, ყველა პოლიტიკური პარტიის ჩართულობას და მხარდაჭერას უზრუნველყოფს; ეს დანიშვნები უნდა ჩატარდეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, გამჭვირვალე, მიუკერძოებელი, დამსახურებაზე დაფუძნებული დანიშვნების უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, მხარეები იღებენ ვალდებულებას, განაგრძონ საერთო პოლიტიკური პოზიციის გაზიარება მომავალი გენერალური პროკურორების არჩევის შესაძლო დაბლოკვის საწინააღმდეგო მექანიზმის შემდეგნაირ ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით:
1. პირველ ორ მცდელობას პარლამენტის წევრთა კვალიფიციური უმრავლესობის ხმები დასჭირდება. შემდგომ მცდელობებს ხმების უბრალო უმრავლესობა დასჭირდება.
 2. ყოველი მომდევნო კენჭისყრა ჩატარდება არა უადრეს 4 კვირისა წინა კენჭისყრიდან.
 3. არჩევის შესაძლო დაბლოკვის საწინააღმდეგო ამ პროცედურის შესაბამისად ჩატარებული ნებისმიერი დანიშვნა (უბრალო უმრავლესობით) უნდა იყოს დროებითი. მისი ვადა ერთი წლით შემოიფარგლება, რომლის განმავლობაშიც დანიშვნის სტანდარტული პროცედურა თავიდან უნდა დაიწყოს.

| შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
|----------|---------------------|-------------|
| | | |

ბოლო წლებში განხორციელებული არაერთი საკანონმდებლო ცვლილების მიუხედავად, დღემდე სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი პროკურატურის სისტემის პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ანგარიშგაღებულობა. პროკურატურის სისტემა კვლავაც პოლიტიკურად მოტივირებულ, დახურულ უწყებად რჩება.⁸⁴ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას, გენერალური პროკურორის არჩევის დღეს მოქმედი წესი წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც, პარლამენტი საბოლოო გადაწყვეტილებას ხმათა უბრალო უმრავლესობით იღებს.⁸⁵ შესაბამისად, კონსტიტუციის ცვლილებების თავდაპირველი ვერსიით, რომელიც მომდევნო ორი მოწვევის პარლამენტის მიერ გენერალური პროკურორის 3/5-ის უმრავლესობით არჩევას გულისხმობდა, მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებდა პოლიტიკური კონსენსუსის მოთხოვნას. თუმცა, 19 აპრილის შეთანხმების ანულირებულად გამოცხადების შემდეგ, გენერალური პროკურორის დანიშვნაზე მომზადებული ცვლილებების პროექტიდან სრულად ამოვარდა, რაც მიუთითებს, რომ მმართველ ძალას არ აქვს სამართალდამცავი სისტემის დეპოლიტიზების ნება.⁸⁶

84. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, პროკურატურის სისტემის რეფორმა, 2018, იხ: <https://bit.ly/3k99jhl>

85. სოციალური სამართლიანობის ცენტრის მოსაზრებები კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტთან დაკავშირებით, 2017 წ., იხ: <https://bit.ly/3Aa1XQs>

86. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, განცხადება გენერალური პროკურორის არჩევის ახალ წესზე უარის თქმის თაობაზე, 7 სექტემბერი, 2021 წ., იხ: <https://bit.ly/3kmdMNW> აშშ საელჩოს განცხადება

- პარტიები იღებენ ვალდებულებას, განაგრძონ სასამართლო რეფორმა ინკლუზიური პროცესის საშუალებით, სასამართლო რეფორმის მესამე და მეოთხე ტალღის ეფექტიანობის შეფასების ჩათვლით. ამ რეფორმების განხორციელების პროცესში გამოყენებული იქნება საერთაშორისო ექსპერტების რჩევები და დახმარება, განსაკუთრებით დასანიშნი მოსამართლეების კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით.

| შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
|----------|---------------------|-------------|
| | | |

2012 წლიდან დღემდე, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების შექმნის დეკლარირებული მიზნით, საკანონმდებლო პაკეტი ოთხჯერ, ე.წ. რეფორმის ტალღების მეშვეობით შემუშავდა. ცვლილებებმა მართალია, საკანონმდებლო ჩარჩოს გარკვეული სახის მოდერნიზაცია მოახდინა, თუმცა, პოლიტიკური ნების არარსებობის გამო, დიდწილად ფასადური ხასიათი მიიღო და საბოლოოდ გავლენიანი ჯგუფის კონტროლს ყველა ინსტანციის სასამართლო დაუქვემდებარა. ამ ვითარებაში, სასამართლოს სამომავლო რეფორმაზე საუბარი შეუძლებელია გაგრძელდეს მანამ, სანამ არ მოხდება წარსულში გაშვებული შესაძლებლობების სათანადო, სისტემური ანალიზი. წლების განმავლობაში მსგავსი ტიპის შეფასება არასამთავრობო სექტორმა რამდენჯერმე გააკეთა,⁸⁷ თუმცა, ამ დრომდე, მმართველი ძალა არ აღიარებს სასამართლო სისტემაში არსებულ კრიტიკულ სიტუაციას და შესაბამისად, კვლავ უარს ამბობს, 19 აპრილის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე.

პარლამენტის მიერ 19 აპრილის შეთანხმების შემდგომი საკონსტიტუციო ცვლილებების პირველი მოხმენის შესახებ, 7 სექტემბერი, 2021, იხ: <https://bit.ly/3ExFNds>

87. კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, სასამართლო სისტემა: რეფორმის პერსპექტივები, 2017 წ., იხ: <https://bit.ly/2YNdRlg>; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია „მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა საქართველოში“, 2021 წელი, <https://bit.ly/2YUZifl>

პარლამენტი საქართველოს განათლების

ავტორი:
საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო (TIG)

- პარლამენტის წევრები ოპოზიციური პარტიებიდან უხელმძღვანელებენ ხუთ კომიტეტს, საიდანაც ორი კომიტეტი შერჩეული იქნება ქვემოთ მოყვანილი სიიდან:
 1. საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი
 2. იურიდიულ საკითხთა კომიტეტი
 3. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი
 4. საბიუჯეტო და საფინანსო კომიტეტი
 5. საგარეო საქმეთა კომიტეტი

| შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
|----------|---------------------|-------------|
| | | |

არ გაკეთდა: პარლამენტში ძალაუფლების გადანაწილების ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს ოპოზიციის წარმომადგენლების კომიტეტების თავმჯდომარედ არჩევის შესაძლებლობა, რასაც ითვალისწინებდა 19 აპრილის შეთანხმება. დოკუმენტის თანახმად ხუთი კომიტეტის თავმჯდომარე საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი უნდა გახდეს, ხუთიდან ორი კომიტეტი აუცილებლად შეთანხმებაში ჩამოთვლილი კომიტეტებიდან უნდა შეირჩეს.

პარლამენტში სულ 16 კომიტეტი არსებობს, რომელთა თავმჯდომარეები ირჩევა პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით.⁸⁸ შესაბამისად, 16-ვე კომიტეტის თავმჯდომარე „ქართული ოცნების“ წარმომადგენელია. პარლამენტის რეგლამენტის ეს ჩანაწერი კომიტეტის თავმჯდომარის არჩევას საპარლამენტო უმრავლესობის სრულ კონტროლში აქცევს და ფაქტობრივად გამორიცხავს, ოპოზიციის წარმომადგენლის არჩევას.

ვალდებულების შესრულებისთვის აუცილებელი ნაბიჯი იყო მხარეთა შეთანხმება კომიტეტთა ჩამონათვალზე, სადაც თავმჯდომარედ ოპოზიციის წარმომადგენელი უნდა დანიშნულიყო, რაც საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შეიძლება განხორციელებულიყო, როგორც პოლიტიკურ ძალებს შორის მოლაპარაკებით, ასევე საკანონმდებლო ცვლილებებით. საანგარიშო პერიოდში, არცერთი ეს ნაბიჯი არ იქნა გადადგმული და შესაბამისად ვალდებულება შეუსრულებელია.

- პარლამენტის წევრები ოპოზიციური პარტიებიდან დაიკავებენ საპარლამენტო დელეგაციის თავმჯდომარის 1 პოზიციას იმ საპარლამენტო დელეგაციებში, რომლებიც საქართველოს წარმომადგენენ შემდეგ საერთაშორისო ფორუმებში: ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეა, ევროკავშირი–საქართველოს საპარლამენტო ასოციაციის კომიტეტი, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა და ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა.

| შესრულდა | ნაწილობრივ განხორციელდა | არ შესრულდა |
|----------|-------------------------|-------------|
| | | |

88. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 06/12/2018, 3875-რს, 30-ე მუხლის, მე-6 პუნქტი, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/4401423?publication=24>

არ გაკეთდა: საერთაშორისო საპარლამენტთაშორისო ორგანიზაციებთან რეგულარული ურთიერთობისთვის პარლამენტში იქმნება მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციები, მათი შემადგენლობა განისაზღვრება პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების გათვალისწინებით. ამ კვოტებს განსაზღვრავს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი.⁸⁹

საანგარიშო პერიოდში, მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციის დაკომპლექტების წესში საკანონმდებლო ცვლილება არ შესულა, რაც შეეხება დელეგაციის მოქმედ ხელმძღვანელებს 19 აპრილის შეთანხმებით განსაზღვრული ყველა დელეგაციის ხელმძღვანელი საანგარიშო პერიოდის დასრულების მომენტისთვის უმრავლესობის წარმომადგენლები არიან. კერძოდ, საპარლამენტო დელეგაციების თავმჯდომარეები ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეაში, ასევე ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო ასოციაციის კომიტეტში მაკა ბოჭორიშვილია,⁹⁰ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში - ირაკლი ჩიქოვანი,⁹¹ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაში - ნიკოლოზ სამხარაძე,⁹² სამივე მათგანი ფრაქცია „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენს.

- სამომავლოდ, სხვა პოზიციები განაწილება ისეთი ინკლუზიური ფორმულის გამოყენებით, როგორცაა D'Hondt მეთოდი [რომელიც არაპროპორციულობის მინიმუმამდე დაყვანისთვის გამოიყენება]

| შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
|----------|---------------------|-------------|
| | | |

არ გაკეთდა: ვალდებულება გულისხმობს ისეთი პრინციპის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს საპარლამენტო პოზიციების ინკლუზიურად განაწილებას. პრინციპმა უნდა დააწესოს პროპორციულობის ის მინიმალური სტანდარტი, რომლის დაცვითაც მოხდება მომავალში საპარლამენტო პოზიციების განაწილება და რომელიც შექმნის საპარლამენტო ძალაუფლების გაზიარების დამატებით გარანტიებს.

შეთანხმებით დაკონკრეტებულია, რომ პოზიციების გადანაწილების ფორმულა უნდა განისაზღვროს D'hondt-ის მეთოდით.⁹³ ცხადია, რომ შეთანხმების ამ ნაწილის იმპლემენტაცია საკანონმდებლო დონეზე უნდა მოხდეს, თუმცა საანგარიშო პერიოდში არ მომხდარა არცერთი ისეთი საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც შეთანხმების ამ პუნქტით გან-

89. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 06/12/2018, 3875-რს, 189-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/4401423?publication=24> .

90. მაკა ბოჭორიშვილი, საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/parliament-members/7109/activity>, [ნანახია 5.09.2021].

91. ირაკლი ჩიქოვანი, საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/parliament-members/2247/activity>, [ნანახია 5.09.2021].

92. ნიკოლოზ სამხარაძე, საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/parliament-members/5939/activity>, [ნანახია 5.09.2021].

93. D'hondt-ის მეთოდი არის მათემატიკური ფორმულა, რომელიც გამოიყენება კოლეგიურ ორგანოებში მანდატებისა და თანამდებობების გადასანაწილებლად. ვრცლად იხ: Kotanidis, Silvia. 2019. "Understanding The D'hondt Method: Allocation Of Parliamentary Seats And Leadership Positions". Online. European Parliament, [https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2019/637966/EPRS_BRI\(2019\)637966_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2019/637966/EPRS_BRI(2019)637966_EN.pdf), [ნანახია 5.09.2021]

საზღვრული გარანტიების შესაბამის ცვლილებებს შეიტადა პარლამენტის რეგლამენტში ან სხვა ნორმატიულ აქტში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში რეგლამენტში განხორციელებული ცვლილებებით პარლამენტის 2 წევრს მიეცა შესაძლებლობა შექმნას პოლიტიკური ჯგუფი,⁹⁴ რომელსაც მიენიჭა საპარლამენტო ფრაქციის მსგავსი უფლებები. გარდა ამისა, ინიცირებულია საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებს საპარლამენტო ფრაქციის მინიმალურ წევრდა ოდენობის 7-დან 4-მდე შემცირებას.⁹⁵ ორივე ცვლილება ნამდვილად ქმნის დამატებით შესაძლებლობებს ფრაქციის გარეშე დარჩენილი დეპუტატებისთვის, აადვილებს მათ წვდომას საპარლამენტო კონტროლის მექანიზმებთან და ა.შ. მაგრამ ეს ნაბიჯები არ შეიძლება ჩაითვალოს 19 აპრილის შეთანხმების ამ პუნქტის შესრულებად.

- პარტიები იზრუნებენ „ჟან მონეს დიალოგის“ ფორმატის შექმნაზე ევროპარლამენტთან.

| შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
|----------|---------------------|-------------|
| | | |

არ გაკეთდა: „ჟან მონეს დიალოგი მშვიდობისა და დემოკრატიისთვის“ წარმოადგენს ევროპარლამენტის შემუშავებულ საპარლამენტო მედიაციის ინსტრუმენტს, რომლის მიზანიც ინტერპარტიული დიალოგის ხელშეწყობაა.⁹⁶

23 ივნისს ევროპარლამენტის დემოკრატიის მხარდაჭერისა და არჩევნების კოორდინაციის ჯგუფმა (DEG) ევროპარლამენტარები - მარინა კალიურანდი და მირიამ ლექსმანი, საქართველოში „ჟან მონეს დიალოგის“ პროცესის თანაფასილიტატორობისთვის შეარჩია, რომლებიც ვიოლა ფონ კრამონთან ერთად ფორმატის მუშაობაში მიიღებენ მონაწილეობას.⁹⁷

პარლამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, დიალოგის დასაწყებად შემდეგი ნაბიჯები გადაიდა: 2021 წლის 18 მაისს, პარლამენტის თავმჯდომარემ კახაბერ კუჭავამ მზადყოფნა გამოთქვა, დაიწყო დიალოგი ევროპარლამენტის პრეზიდენტთან დავიდ სასოლისთან; 2021 წლის 14 ივლისს, ევროპარლამენტის დემოკრატიის მხარდაჭერისა და არჩევნების კოორდინაციის ჯგუფმა (DEG) ვიდეოკონფერენცია მოაწყო „პოლიტიკური პარტიების უფლებებისა და ანგარიშვალდებულების მნიშვნელობის თაობაზე“, კახაბერ კუჭავა და დავიდ სასოლი მონაწილეობდნენ კონფერენციაში; 2021 წლის აგვისტოში კახაბერ კუჭავამ დავიდ სასოლის წერილი გაუგზავნა, შემოდგომაზე ოფიციალურად მოიწვია

94. „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“, 661-IVმს-Xმპ, 11/06/2021, 1 მუხლი, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5188880?publication=0>

95. კანონპროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#/law-drafting/22438>

96. ვრცლად იხილეთ: Jean Monnet Dialogues, European Parliament, <https://bit.ly/3zxFV9f>, [ნანახია 5.09.2021]

97. იხ. DEG ჯგუფის საჯარო განცხადება: https://twitter.com/EP_DEG/status/1407598044149817345 [ნანახია 5.09.2021].

საქართველოში და ჟან მონეს დიალოგის ოფიციალური გახსნა მისი ვიზიტის ფარგლებში შესთავაზა.

მიუხედავად ზემოაღნიშნული მოსამზადებელი სამუშაოებისა, კონკრეტული ნაბიჯები არ გადადგმულა, მათ შორის, დიალოგის ფორმატის შესახებ არ დაწყებულა საჯარო განხილვა. ამ საკითხზე შეხვედრები პოლიტიკურ ჯგუფებთან არ ჩატარებულა და უცნობია, ვინ მიიღებს მონაწილეობას ამ ფორმატში მმართველი თუ ოპოზიციური პარტიებიდან. შესაბამისად, ხელშეკრულების ეს ნაწილი ჯერ არ შესრულებულა.

ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“

ტელ: +995 32 2 25 04 63

ფაქსი: +995 32 2 29 10 52

ელ.ფოსტა: contact@osgf.ge; osgf@osgf.ge

ვებგვერდი: www.osgf.ge